<u>დამფუძნებელი კრება ქართულ პრესაში</u>

ი. ხახანაშვილი. საქართველოს დამფუძნებელი კრება და ქართველი ისრაელები

1.

განახლებულ საქართველოს ცხოვრებაში ორი მნიშვნელოვანი ხანაა აღსანიშნავი; ერთი ჩვენი დამოუკიდებლობის გამოცხადება, მეორე საქართველოს დამფუძნებელი კრების ხანა.

ჩვენ ვიცით, რომ 26 მაისიდან დიდი ცვლილებები მოხდა ქართველი ერის არა მარტო პოლიტიკურსა და სოციალ-ეკონომიურ ცხოვრებაში, არამედ ერის ფსიხოლოგიამაც საგრძნობი ცვლილება განიცადა.

მაგრამ უფრო მნიშვნელოვან დაღს დაამჩნევს ჩვენ ცხოვრებას ის დამფუძნებელი კრება, რომლის არჩევნების პირველ დღეთ თებერვლის 14 არის განზრახული, ვინაიდგან იგი სრულიად საქართველოს სურათს მოგვცემს და მის მიერ დაკანონებულს ვეღარაფერი შესცვლის, რადგან ქართველმა ერმა ისეთი ნებისყოფა გამოიჩინა თავისი სუვერენობისა და სახელმწიფოებრივობის დაცვაში, როგორიც სავსებით შეეფერებ სიცოცხლის ღირსს კულტურულ ერს.

ცხადია, რომ აღნიშნული ორი მომენტები ჩვენის ცხოვრებისა ასეთსა თუ ისეთს გამოძახილს ჰპოებდა ქართველი ერის ყოველ ნაწილში. არა ქრისტიან ქართველთა მსოფლ მხედველობაშიც მოხდა ის ტეხილი, რომელიც ეგრე ბუნებრივი იყო. ქართველ მაჰმადიანთა ოსმალოფილური მასა შეირყა და კვლავ გადმოიხედა თავისი ნამდვილი სამშობლოსაკენ, ხოლო მთელმა ქართველმა ისრაელობამ იმ თავითვე შეიწურა ყველა ის სითბო და წარმოიდგინა სავსებით ის სრული ნეტარება, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის განმტკიცებას უნდა მოჰყოლოდა. მას შემდეგ, რაც კულტუროსანმა კაცობრიობამ ჩვენი თვითმყოფადობა აღიარა, საფრთხის დიდი რაოდენობა თავიდან აგვცილდა და შეგვიძლია დამშვიდებით გამოვხატოთ ჩვენი ნებისყოფა.

რა გზას დაადგება ამ შემთხვევაში ქართველ ისრაელთა უდიდესი ნაწილი? ტრადიციულ გზას ცხადია არ ასცდება და ისევე შეედუღება ქართველ დემოკრატიულ ჯგუფების სიებს, როგორც აქამომდე ედუღებოდა.

ცალკე სიით ქართველი ისრაელები არ გამოვლენ, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ დიდი ფული დაიხარჯა რუსეთის ებრაელებისა, რათა გზა-კვალი აებნიათ ქართველ ისრაელებისათვის და სარწმუნოებრივი მომენტით გაეწყვიტათ ჩვენი ბედი და იღბალი.

აქ მასის საღ ინსტიქტმა სავსებით მოიგერია როგორც სიონისტების, ისე ბუნდოველების ავანტიურა და გადაჭრით აღიარა თვისი შეკვრა საქართველოსა და ქართველ ერთან.

მაგრამ ქართველ ისრაელთა სოციალ-ეკონომიური თუ რელიგიური ინტერესებიც ერთნაირად ვერ შეეგუება ყოველ ჯგუფის და ყოველ პარტიის იდეოლოგია მსოფლმხედველობას. ეს ორი მომენტი - რელიგიური და ეკონომიური - იმდენად დიდ მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ქართველ ისრაელთა ცხოვრებაში, რომ შეუძლებელია გაურკვევლად დავსტოვოთ ის კითხვა, თუ რომელ იდეოლოგიის კალთას უნდა შეაფაროს თავი ქართველ ისრაელთა თითქმის 90 პროცენტმა იმ დროს, როდესაც საბოლოოდ უნდა დაიხაზოს და დამკვიდრდეს ფარგალი საქართველოს შინაურ ცხოვრებისა.

ამ ფარგლებს დახაზავს ის დამფუძნებელი კრება, რომელიც თებერვალში იქნება არჩეული და ეხლა შეუგნებლად მისვლა საარჩევნო ყუთთან მიუტევებელი ცოდვა იქნებოდა როგორც თავისი სარწმუნოების, ისე ეროვნებისა და მთელი სამშობლოს წინაშე. მაშასადამე დაკვირვება, აწონ-დაწონვა და გათვალისწინება ყოველი ეხლანდელი ნაბიჯისა მეტს ბარგს არ უნდა შეადგენდეს არც ერთი შეგნებული ქართველი ისრაელისათვის.

საქართველოში მომქმედი პარტიები ორ კატეგორიად დაიყოფიან: სოციალისტური და არა სოციალისტური (მე რასაკვირველია არ შევეხები უცხო ერების პარტიებს, განსაკუთრებით არ შევეხები სიონისტთა უდღეო პარტიას, რომლის კონტინგენტს სრულიად ამოსწურავს რუსეთის ებრაელთა მასა, რომელთა ქვეშევრდომობის კითხვა ბნელით

არის მოცული). ეს ორი კატეგორიის პარტიები აშკარაა სულ სხვა და სხვა არსებისანი არიან და სხვადასხვანაირად უვლიან ცხოვრების არსებით კითხვებს, ყოველ შემთხვევაში არცერთს ქართულ პარტიათა შორის დავა არ არის იმაზე, რომ საქართველო დამოუკიდებელი, სუვერენული და თანაც დემოკრატიულ-რესპუბლიკური სახელმწიფო უნდა იქნეს. ყველა პარტიები ერთიანად შემოკრბენ ამ ლოზუნგის გარშემო

მაგრამ, რამდენადაც აქ ერთსულოვნობა იჩენს თავს, იმდენად ღრმა უფსკრული ჰჩნდება სოციალურ და ეკონომიურს დარგებში.

„საქართველო“, 1919 წ. იანვრის 24, N 18, გვ.1-2

2.

როდესაც ხდებოდა არჩევნები რუსეთის დამფუძნებელ კრებისათვის, ქართველ ისრაელთა აქეთ თუ იქით გადახრა არ შეიტანდა არსებითს ცვლილებას იმ რეალურ ძალთა განწყობილებაში, რომელიც რუსეთის დამფუძნებელ კრებაზე დამვიდრდებოდა.

მაგრამ, როდესაც ხდება არჩევნები საქართველოს დამფუძნებელ კრებისა, ქართველ ისრაელთა ხმამ გაცილებითღ უფრო გავლენიანი ხდება და საგრძნობლად შესცვლის იმ ბრძოლის მიმართულებას, რომელიც გაიბმება ჩვენს დამფუძნებელ კრებაზე. ქართველ ისრაელებს დიდი წილი უდევსთ სარხელმწიფო ცხოვრების შედარებით წესიერ კალაპოტში ჩაყენებაში. მათ შესძლეს, ყოველივე დაბრკოლებების გარეშე შემოეტანათ საქართველოში ბევრნაირი საჭირო საგნები და ამით ააცდინეს საქართველოს დიდი ეკონომიური კრიზისი. ამაში ადვილად დავრწმუნდებით, როდესაც გადავათვალიერებთ ფოთის საბაჟო წიგნებს.

მაგრამ მრეწველობა ისეთი დარგია, რომელიც სრულიად ისპობა კერძო თაოსნობის შევიწროებით. ამის მაგალითები უხვად მიაბნ-მოაბნია ჩვენი სოციალისტების პრაქტიკამ და მწარე მოგონებების მეტს ვერაფერს აღუძრავს ქართველ ისრაელებს. ამ მაგალითების აღნუსხვა და კერძო თაოსნობის დახშობამ, რომ საოცრად დასცა სახალხო მეურნეობა და სრულიად გაანიავა ვაჭრობა-მრეწველო-

ბა, ამას კარგად გრძნობენ და ხედავენ თვით ქართველი ისრაელებიც იმ მონოპოლიურ სისტემის შემოღებით, რომელშიც ასე გულუხვნი აღმოჩნდნენ ჩვენი სახელმწიფოს დღევანდელი საჭეთ მპყრობელნი.

ჩვენ ვიცით, როგორი საშინელი უკან დახევა მოახდინეს ჩვენმა სოციალისტებმა თვისი პრინციპებისა და იდეებისათვის ბრძოლის დროს და როგორი მტკიცე აღმოჩნდა ხალხის ნებისყოფა საკუთრების პრინციპების დაცვაში. ჩვენ ვიცით, არა მარტო ჩვენი პარლამენტის, არამედ სხვა სახელმწიფოების მაგალითებითაც, რომ ის მიმართულება, რომელსაც ათიოდე წარმომადგენელი ჰყავს პარლამენტში, მაგრამ მედგრად და მხნედ იბრძვის თავისი პრინციპებისთვის, გაცილებით მეტს აკეთებს, ვინემ დიდი ფრაქცია. და ეს მაგალითი გვაჩვენებს, რა დიდი მნიშვნელობა აქვს საქმიან ოპოზიციას სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში.

ჩვენ ვერაფერს ვიწინასწარმეტყველებთ საქართველოს დამფუძნებელი კრების მომავალ იდეოლოგიურ აგებულებაზე, მაგრამ იმას კი ვიტყვით, რომ სწორედ ამ საქმიანი ოპოზიციის გაძლიერება აუცილებელია.

„საქართველო“, 1919 წ. იანვრის 29, N 21, გვ.1-2

რ. ინგილო. დამფუძნებელი კრება

დემოკრატიულ სახელმწიფოს ნიშნობლივი თვისება იმაში გამოიხატება უპირველეს ყოვლისა, რომ მართვა-გამგეობის საქმე ამა თუ იმ სახით თვით ხალხს აქვს მინდობილი და ყოველი აქტი სახელმწიფოებრივ მნიშვნელობისა არის აღსრულება ხალხის სურვილისა და ნებისყოფისა.

დედა-მიწის ზურგზედ მოიპოვებიან ისეთი სახელმწიფონი, სადაც ხალხი მართებლობს და კანონმდებლობს პირდაპირ, უშუამავლოდ, იმ წესით, რომელიც განისაზღვრება საყოველთაო ხმის მიცემით - პლებისციტით. ხოლო უმეტეს ქვეყნებში ხალხთმართვე-

ლობის იდეა განსახიერებას ჰპოებს პარლამენტარიზმის საშუალებით: ერი განაგებს და ბრძანებლობს დელეგაციის სახით, რწმუნებულების წარგზავნით უმაღლეს საკანონმდებლო დაწესებულებაში.

სახელმწიფოს ყოველდღიურ მუშაობაში და აქტებში ხალხის ზრახვათა დაკმაყოფილება მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება მიჩნეული, უკეთუ თვით ფორმა და წყობილება სახელმწიფოისა იმავ ხალხისგან იქნება ნაჩვენები და განზომილი. სახელმწიფოს შენობას უნდა დაედვას მტკიცე და შეურყეველი საფუძველი, რომლის ყოველი კუთხედი ხალხის მიერ წინდაწინვე ნავარაუდევი და გათვალისწინებულია.

ახალ, ან და აღდგენილ სახელნმწიფოებრიობის განმტკიცებისა და განვითარებისათვის ერი იწვევს დამფუძნებელ კრებას - უზენაეს ორგანოს, რომელიც საფუძველს უყრის სახელმწიფო ცხოვრების ყოველ დარგს, დროებითსა და წარმავალ წესებს მტკიცე და სამარადისო დანიშნულებას აძლევს და საბოლოოდ განამტკიცებს წესწყობილებას.

დამფუძნებელი კრება იმუშავებს კონსტიტუციას, იგი ჰქმნის ძირითად კანონებს, სახელმწიფო მართვა-გამგებლობას სათავეში რომ უნდა დაედვას; დამფუძნებელი კრების დანიშნულებას შეადგენს სახელმწიფოს წეს-წყობილების ტიპის გამონახვა, იგივე აძლევს ქვემდებარე დაწესებულებებს სახელმძღვანელო გეზს სოციალურ და ეკონომიურ კანონმდებლობისას; საერთაშორისო დამოკიდებულების სფეროში დამფუძნებელი კრება მკვიდრ ნიადაგზე ამყარებს სახელმწიფოს უფლებრივ მდგომარეობასა და სუვერენიტეტს და კულტურული კაცობრიობის ოჯახში სათანადოდ აძლიერებს სახელმწიფო ერთეულის გავლენასა და მნიშვნელობას.

ასეთი კრების მოწვევაა განზრახული ჩვენს სამშობლოში მარტის პირველ რიცხვებში.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდგომ დამფუძნებელ კრების მოწვევა უდიდეს პოლიტიკურ და სახელმწიფოებრივ მოვლენად ჩაითვლება; ამ კრებულის წინაშე წარსდგება

საქართველოს პარლამენტი და მასთან პასუხისმგებელი სამინისტრო და ცხრა თვის ნამოღვაწარის ანგარიშს ჩააბარებენ. საქართველოს ხალხის რჩეულნი განიხილავენ ყველა აქტებსა და განკარგულებებს პარლამენტის და მთავრობის მიერ გამოცემულს, მათვე წარედგინებათ 26 მაისის დეკლარატიული აქტი, რომლითაც დამოუკიდებელმა საქართველომ ყველა სახელმწიფოებს აცნობა რუსეთის უღლიდან განთავისუფლება და პოლიტიკური სუვერენობის აღდგენა.

დამფუძნებელი კრების გახსნისთანავე საქართველოს პარლამენტი და მთავრობა გადადგომილად გამოცხადდება და უზენაესი ხელმწიფება ამ კრებულის ხელთ გადავა. დამფუძნებელი კრების უფლება განუსაზღვრელია: მას შეუძლიან სავსებით, ან ნაწილობრივ გააუქმოს პარლამენტისა და მთავრობის სახელმწიფო აქტები, მისვე უდავო კომპეტენციას ეკუთვნის შეწყნარება და დადასტურება ამ აქტებისა. დამფუძნებელი კრება იწყებს ახალ ხანას სახელმწიფოს ცხოვრებაში და ძალუძს ძირიან-ფესვიანად გარდაქმნას სოციალ-პოლიტიკური წყობილება და ურთიერთობა, რასაკვირველია, ობიექტურ შესაძლებლობის ფარგლებში.

სახელმწიფოს უფლების მხრივ წარსულ კანონმდებლობასა და საზოგადოთ პოლიტიკურსა და საერთაშორისო აქტებს თავისი მნიშვნელობა და ღირებულება არ ეკარგება, მაგრამ დამფუძნებელი კრების მიერ მათი მიღება და დამტკიცება იურიდიულ საბუთებს ზნეობრივ ძალასაც შეჰმატებს. ავიღოთ, მაგალითად, თუნდ უდიდესი აქტი ჩვენი ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ცხოვრებისა - საქართველოს დამოუკიდებლობის მანიფესტი: ვინ არ იცის, რომ ეს აქტი არის შედეგი ქართველი ხალხის ერთსულოვანი აღფრთოვანებითი მოთხოვნილებისა, ყველასათვის ცხადია, რომ საღი და შეგნებული ნაწილი ქართველი ერისა დღე-მუდამ იმის ცდაში იყო, რომ დაკარგული და თვითმპყრობელი რუსეთისგან ძალმომრეობით, სამართლიანობის უსირცხვილო დარღვევით მითვისებული საქართველოს სახელმწიფოს საჭეთმპყრობელობა ქართველობისადმივე გარ-

დაცემულიყო, მაგრამ ათასი ჩვენი მოძულე და „მთლიანი რუსეთის“ აღდგენის მოტრფიალე, - ყველა ეს ჩალხუშიანები, შულგინები, დენიკინები, ზურაბოვები - სიტყვითა და წერით ქვეყნად ჰფენენ შეუსაბამო ჭორს, თითქოს ქართველი ხალხი წინააღმდეგი იყვეს დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნისა, ცხარე ცრემლსა ჰთვრიდეს რუსეთისაგან განცალკევების გამო და მხოლოდ ერთმა მუჭამ შოვინისტურმა ინტელიგენციამ მოახვია ხალხს არაპოპულარული სეპარატიული აქტი! თავის თავად ცხადია, რომ საზოგადოების ბნელი ნაწილისა და ორიოდე ქარაფშუტა პოლიტიკურ „მოღვაწის“ გარდა არავინ დაიჯერებს ამ ზღაპრულ რწმუნებას, მაგრამ თვითმყოფ საქართველოს დაბრმავებულ მტრებმაც და შეუგნებელ მასამაც საბოლოოდ რომ შეიგნოს მთელი უაზრობა შეთხზული ჭორისა, დამფუძნებელი კრების გარდაწყვეტილებაც აუცილებელია საქართველოს დამოუკიდებლობის დასადასტურებლად. წინდაწინვე ვუწყით, რომ დამოუკიდებლობის განმეორებითი მიღება დამფუძნებელ კრების მიერ იქნება დიდებული მანიფესტაცია განთავისუფლებულ საქართველოს მიმართ და იმ დღიდან პროვოკატორებსაც ენა ჩაებმებათ, ხოლო მორალური მნიშვნელობა და სიძლიერე ხსენებულ აქტისა ერთი ათად გაიზრდება!

ზემოთქმულიდან ნათელი უნდა იყოს, რა დიდი და მრავალმხრივი მნიშვნელობა ექნება საქართველოს სახელმწიფოებრიობის შემდგომ განვითარებისათვის დამფუძნებელი კრების მოწვევას.

გასაგებია ის ინტერესიც, რომლითაც მთელი საქართველო შეჰხვდა დამფუძნებელ კრების მოწვევის ამბავს.

მიუხედავად ფრიად მოკლე ვადისა და ბევრ გარდუვალ დაბრკოლებისა დამფუძნებელ კრების არჩევნებში ქართველმა ერმა ფხიზელი მონაწილეობა უნდა მიიღოს და ყველა, ვისაც კანონი უფლებას ანიჭებს, ვალდებულია ნაჩვენებ დროს გამოცხადდეს საარჩევნო ყუთებთან და შეასრულოს უსაჭიროესი მოქალაქეობრივი მოვალეობა.

ჩვენს თაობას ბედნიერო წილი ჰხვდა დამფუძნებელ კრების არჩევნებში მონაწილეობით. ჩვენ მონაწილენი ვართ ისტორიის იშვიათი მოვლენისა! დიდს მოვალეობას და პასუხისმგებლობას აკისრებს ბედი ქართველ ხალხს! უაღრესად გართულებულსა და გამწვავებულ საერთაშორისო განწყობილებაში ქართველი ერის სახელმწიფოებრივ ცხოვრებას სახე და მიმართულება ენიჭება... საქართველოს სუვერენიტეტი უფლებრივ გამოსახულობას ჰპოებს და კულტურულ დემოკრატიისაგან შეძენილ სახელმწიფო ფორმებს ეზიარება.

დამოუკიდებელ საქართველოს სახელმწიფოებრიობას მტკიცე საფუძველი ეყრება და მასზე კედლების აღმართვა ქართველო ერის არქიტექტონიკურ ნიჭზეა დამოკიდებული.

„საქართველო“, 1919 წ. იანვრის 15, N 10, გვ.1-2

დამფუძნებელი კრების არჩევნებისათვის

ორი კვირის შემდეგ ყოველი მოქალაქე ჩვენი რესპუბლიკისა ყუთებთან უნდა მივიდეს თავის მოქალაქეობრივი მოვალეობის მოსახდელათ. საარჩევნო კამპანიაში უმთავრესათ ორი პარტიაა დაპირისპირებული, სოციალ-დემოკრატია და ეროვნული დემოკრატია. მათ შორის სდგანან: ს.-ფედერალისტები და ს.-რევოლუციონერები; სოციალისტების მთავარი მიზანია ნელ-ნელა, თანდათანობრივი ზომების მიღებით გამოიწვიონ არსებულ ეკონომიურ წესწყობილების მოსპობა და სოციალისტურ-კომუნისტური წესწყობილება გაამეფონ. მიწების ჩამორთმევა თავდაპირველათ სწორეთ აგეთი სოციალისტური მაშტაბით იყო განზრახული, მხოლოდ ჩვენი გლეხობის შეგნებულმა და მიზან-შეწონილმა წინააღმდეგობამ აიძულა სოციალისტები ხელი აეღოთ თავიანთ განზრახვის განხორციელებაზე და მიეღოთ ეროვნულ დემკრატიის მიერ დაჟინებით ნაკარნა-

ხევი პრინციპი მიწის გლეხებზე საკუთრებათ გადაცემისა. სოციალისტები ამისდა მიუხდავათ, მაინც იმედოვნებენ მომავალში გლეხობა ისე გაწვრთნან, რომ თავიანთ სოციალიზმზე დაიყოლიონ. ამისთვის სოციალისტებმა დაიწყეს ქალაქებში ნიადაგის შემზადება სახლების იძულებითი ჩამორთმევის კანონის გატარებით. და შრომის ის პირობები, რომელიც ეხლა გამეფებულია სოციალისტთა უსაზღვრო ბატონობის წყალობით, შეუძლებლად ხდის მუშაობას და საფრთხეს უმზადებს როგორც ჩვენს მრეწველობას ისე თვით მშრომელ დემოკრატიას, რომელსაც სხვა და სხვა წარმოებათა დახურვით, უმუშევრობის აჩრდილი უდგა წინ.

მაგრამ უმთავრესი შეცდომა გაბატონებულ პარტიისა გახლავთ მისი უსამართლო სურვილი თვითბატონობისა. ქვეყნის მართვა-გამგეობა სოციალისტურმა მიმართულებამ დაისაკუთრა და ამით დაბადა საერთო უკმაყოფილება ფართო დემოკრატიულ წრეებში, რომელიც არ იზიარებს სოციალისტურ მრწამსს.

სოციალისტები და კერძოთ სოციალ-დემოკრატია თავს იმართლებდა, რომ პარლამენტში წარდგენილი პარტიათა ძალთა განწყობილება არ მოითხოვდა კოალიციონურ პრინციპების გატარებას მთავრობის შედგენის დროს.

ეროვნული დემოკრატია იმ თავიდგანვე იდგა საღს პოზიციაზე და სამართლიანათ მიუთითებდა მართველ პარტიას ხალხის სულიერ განწყობილებისაკენ. ჩვენი იდეები, თვით ჩვენი პოლიტიკური კურსი დიდის რყევისა და დროს დაკარგვის შემდეგ მიღებულ იქმნა იძულებით, თითქმის ნაძალადევათ, გარეშე პირობათა ზეგავლენით, მაგრამ ის პრინციპები და პოლიტიკური კურსი სოციალისტურმა ელემენტებმა სათანადოთ ვერ შეასრულეს. მაშინ როდესაც კოალიციური მთავრობა, რომლის პლათფორმა წინასწარ პარტიათა შორის შეთანხმებით უნდა შემუშავდეს, უზრუნველჰყოს ამა თუ იმ პრინციპისა და კურსის ადვილად მიღებას და ცხოვრებაში სათანადო გატარებასაც.

ს.-დემოკრატიამ თითქმის ყველა პოზიციები დაჰკარგა იდეურათ და ყველა საკითხში მიიღო ეროვნულ-დემოკრატიის მთავარი პრინციპები. ორგანიზაციული ძლიერება არ გულისხმობს იდეურ ძლიერებასაც. ეს ჩვენმა ცხოვრებამ ნათლად დაამტკიცა. მაგრამ როდესაც იქმნება ქვეყნის მართველობა, იქ უნდა წარმოდგენილ იყოს ის მთავარი იდეებიც და მიზნები, რომელიც შეიცავს მთელი ხალხის ფსიხიკის ძირითად ელემენტებს. თუ წარსულმა ნათლად დაამტკიცა ეროვნულ-დემოკრატიის იდეათა ძლიერება, რომელსაც იძულებით დაემორჩილა თვით მართველი პარტია, ეროვნული დემოკრატია ვალდებულია განსაკუთრების ენერგიით იბრძოლოს ისეთი პირობების შესაქმნელად, რომელიც ხელს შეუწყობს და შესაძლებლად გახდის მთელი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხის ნების ყოფის განხორციელებას დამფუძნებელ კრებასა და მის მიერ დადგენილ მთავრობაში. ხალხის ნებაყოფლობა კი მხოლოთ ერთის პრინციპების დაცვით შეიძლება. ეს გახლავთ კოალიციონური პრინციპი, რომელიც მიღებულია ბევრს დემოკრატიულ სახელმწიფოში და რომელიც უზრუნველმყოფელია მთავრობის სისუსტისა და მერყეობისაგან.

ზოგიერთ ევროპიულ სახელმწიფოში მიღებულია, რომ როდესაც პარლამენტი იკრიბება, იქ წარმოდგენილი მიმდინარეობანი მთავრობაში ერთდებიან. ამით მუშავდება, იკაფება გზა პარტიათა შორის თანამშრომლობისათვის და მთავრობის ერთი მთლიანი სამოქმედო პლატფორმისათვის, რომელიც მკაფიოდ გამოჰხატავს არა რომელიმე პარტიის, არამედ მთელი ხალხის ნების-ყოფას.

ჩვენში აქამომდე პარტიული ბატონობა იყო გამეფებული. მთავრობის კონსტრუქცია და პლატფორმა იყო პარტიული. ამისთვის ეროვნულ-დემოკრატიას არა ერთხელ შემთხვევია უსიამოვნება, რომ მთავრობის მოქმედებას, მის კურსს ვერ გაჰყვა, თუმცა უნდოდა გაჰყოლოდა საერთო სახელმწიფოებრივ ინტერესისთვის; სწორედ ამიტომ სხვა და სხვა წრეები, გლეხობაც და მოქალაქეთა წრეც, თუმცა მოსურნეა მტკიცე მთავრობის დამყარებისა და მზადაა

მას ყველაფერში დაეხმაროს, მაგრამ იმავე დროს ერთგვარ იდუმალ უკმაყოფილებას გრძნობს. ეს გაორება ხალხის გრძნობისა და შეხედულებისა გაბატონებულ პარტიის მიერ შექმნილ მთავრობის კურსისადმი - ფაქტია, რომელსაც ვერვინ გვერდს ვერ აუხვევს. მიზეზი ის პარტიული ჰეგემონიაა, რომელიც აქამომდე სუფევს ჩვენში წინააღმდეგ ყოველი საღი ლოღიკისა.

ეს ასე ვერ დარჩება შემდგომშიც.

მთელმა ხალხმა, ყოველმა მოქალაქემ, ვისაც სურს პარტიათა თანამშრომლობის პრინციპზე აგებული ქვეყნის მართვა-გამგეობა, ვისაც სურს მტკიცე ძლიერი მთავრობა კოალიციის ნიადაგზე დამყარებული, ვისაც სურს რომ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში საბოლოოთ მოისპოს პარტიული შუღლი და დაუნდობლობა და მის ნაცვლად დამყარდეს პარტიათა თანამშრომლობა ვალდებულია დაეხმაროს ეროვნულ დემოკრატიას არჩევნებში და მას საშუალება მისცეს თვისი პრინციპები მომავალ დამფუძნებელ ყრილობაში გაატაროს.

ტ.მ.

„საქართველო“, 1919 წ. იანვრის 22, N 16, გვ.1